№ 24
1909

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—მამა და შვილი,—ლექსი, შ. მდივნელისა 3

II—მიდიან, მშორდებიან!!—ტქვიტისა 5

III—სათაგვეთის შიმშილობა,—(საშობაოდ) ვ. თამრიშვილისა 10

IV—ბებერი ნაძვი,—(თარგმანი) მარიამ დემურიასი 14

V—მელია და მეწისქვილე,—სალხური ზღაპარი (დასასრული),—ა. შანშიაშვილისა 20

VI—ა) შარადა,—ბ) გამოცანა,—ბ) რებუსი და აღსნა . . . 24

წელიწადი მე-V. № 24 დეკემბერი 1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—მამა და შვილი,—ლექსი, შ. მდივანელისა 3

II—მიდიან, მშორდებიან!!—ტქვიტისა 5

III—სათაგვეთის შიმშილობა,—(საშობაოდ) ვ. თამრიშვილისა 10

IV—ბებერი ნაძვი,—(თარგმანი) მარიამ დემურიასი 14

V—მელია და მეწისქვილე,—ხალხური ზღაპარი (დასასრული),—ა. შანშიაშვილისა 20

VI—ა) შარადა,—ბ) გამოცანა,—გ) რებუსი და აღსნა . . .24



მამა და შვილი

ედამ კაბა შემიკერა
ჩახატული, ჩაკვანწული
და ჩუსტები რო არა მაქვს,
ამაზე კი მწუდება გული.

როგორ უნდა დავენახო
საშობაოდ ჩემ ტოლ ქალებს;
ამავლებენ, ჩამავლებენ
ეშმაკები ჩუმად თვალებს.

ისე მოვრთე და მოვკაზმე
ჩემი თოჯინა დედოფალი,
რო გამვლელს და გამოშვლელსა
ხედა რჩება შურით თვალი.

თუ მე ასე გამოვაწყე
საშობაოდ თოჯინა მართა,
ფეხსაცმელს რომ არ მიახლებ,
შენ კი რაღა დაგემართა?!

თუ მეძახი შენს კოჭწიას,
ცქრიალასა, ცუგრუმელას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ დამტოვებ, ჩემო მამა,
უჩუსტოთა, ფეხშიშველას.

— ნუ ინალვლებ, კაბა სომ გაქვს
დაგიკერებს ჩუსტებს გელა
და იოლად წახვალ შობას,
ჩემო ცქვიტო, ცუგრუმელა.

ამ სიტყვებით დაამშვიდა
მამამ შვილი, ენა ტკბილი
და ალერსით დაუკოცნა
მშვენიერი მას ტუჩ-კბილი.

შ. მღვიმელი

მიდიან, მოორდეგიან!!

ბუნწერელი ალიაქოთი სუფევდა ბნელ კუთხეში: გადასაერელად გამზადებული სათამაშოები, როგორც მტრის ჯარი გასალაშქრებლად დიდის ამბით საითკენღაც მიეშურებოდნენ. კარების გასწვრივ თვალ-მიდრეკილი, გახუნებული ორთქლ-მავალი მეტის სიბრაზით საშინლად ქშიტინებდა, ცეცხლებს აფრქვევდა აღელვებული, მაგრამ გულს მაინც ვერ იბრუნებდა.

— ჩქარა ჩასხედით, ნუ იგვიანებთ, სანამ მაგ უგულოს ნაგავზედ არ გადუერიხართ! — აჩქარებდა მატარებელი, თან, გასაქცევად გამზადებული, ერთ ალაგას ვერ ისვენებდა. თვალებ ჩაჟუტული მაიმუნი მატარებელს ზედ სახურავზედ მოჭქცეოდა და მუშტ-მოღერებული ბატარა ქეთოს ამ სიტყვებით ეთხოვებოდა: — შე ულმერთო! მოიჯერე, განა, ჩემი წვალებით გული, დაიქანცე სიცილ-ხარხარით და მასხარად აგდებული კუთხეს მიმაგდე? არა უშავს რა, ქალბატონო, მე როგორც იქნება ამ დამცირებას ავიტან, ჩემი ნებითაც გაგეცლები, შორს სადმე წავალ, მაგრამ შენ კი... მშვიდობით... — აქ მაიმუნს მოღერებული მუშტი უმალ ძირს ჩამოუვარდა, რადგან ის იყო მეტად მწუხარეს და აღელვებულს მდუღარება კიდეც უნდა გადმოსჩქეფოდა, მაგრამ, მოაგონდა თუ არა, რომ ისედაც მახინჯს ცრემლები უფრო აუშნოვებდა — უმალ თავი შეიკავა, თითქოს დარცხვენით ბაჭუა ცხვირზედ ხელი ნელა ჩამოისვა და კუდის ქნევით, გულ-ხელ დაკრეფილი მოაჯირზედ ჩამოცუცქდა. ვირიც, მის გასწვრივ, ერთ კუთხეს დაჟინებით მისჩერებოდა და ნელის თავის ცანცარით, განშო-

რების სალამს დინჯად ამბობდა. ცირკის მასხარა კი თვისის ევირილით იქაურობას იკლებდა, იმის ევირილს ეოველი კუთხე ბანს აძლევდა, რისით გრგვინავდა:—განა, მართლა მაიმუნი და სასაცილო ვიყავ, რომ მაგის ავადმყოფობის დროს მთელი საათი საწოლის წინ გიყივით ვხტოდი, ძალა უნებურად ტაშს უკრავდი და ვცეკვავდი? ეგ კი არხეინად ლოგინში იწვა განაზებული და გულიანად ხარხარებდა, ეს წითელი დიდი ცხვირი და წოპი თავზედ რომ მიცანცარებდა... მაგის გულისთვის მოსამართავ გასაღების ჭრიალით გული მქონდა გაწყალებული, ეხლა კი... მივიწყებული და მოძულებული საღღაც მტვრიან კუნჭულში მიმაგდო იმ ბინძურ თაგვების საღრნავად?!! ვაი, ჩემს გაჩენას! სწორედ ესა ეოფილა მასხარას ბედ-იღბალი— გაჰკიოდა ხრინწიან ხმაზედ მასხარა და თან დიდი ნემსით ხელში თაგვებისაგან გამოფლეთილ შარვალს გაჩქარებული სამგზავროდ იკერებდა. კარებს იქით ჩაფხრეწილ ჰატარა დოლს ჰირი უშნოდ დაეღო და ცალი გვერდით ხმა ძაღლა ისეთსა ღრიალებდა და აბრახუნებდა, გეგონებოდათ ეველას საომრად იწვევსო. მის ხმაზედ მართლაც ეველა უფრო ფაცურდებოდა, გულის კანკალით მატარებლისკენ ეშურებოდა, გარდა ერთი ტიკინისა, რომელიც წუნარად ტახტის წინ გაჩერებულიეო და თმებ-დაგლეჯილს, მთლად დასახირჩებულს ჩაეუტულ თვალებიდან მდულარება გადმოსდიოდა.

— მშვიდობით, ჩემო ძვირფასო არე-მარე, მშვიდობით, საბრალო ახალო სტუმარო! ვაი შენი ბრალი მაგის ხელში! ღმერთმა ხომ იცის, სიშურით არ მოძდის, მაგრამ შენ მეცოდები, რადგან, იცოდე, ცოტა ხნის შემდეგ შენც ის მოგელის, რაც დაგვმართა მაგ უგულომ ჩვენ სულ ეველასა. დიაღ, ტკბილია მაგისი ალერსი, მაგისი ხვევნა და სიევარული, მაგრამ ის უფრო ძნელია და მტანჯველი, როდესაც მოწყენილს სადმე კუნჭულში თავ-გაჩეხილს მიგაგდებს და მის ალერსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგივრად ძაღლი და კატა უმოწყალოდ გწეწავენ. ტარტუნგ-ბული იყავ, რომ სილამაზით, სიკეკლუცით თვით მაღალ მზეს-საც კი მადრიდნენ, მაგრამ ხედავ ახლა ჩემს ეოფას?! ოჰ, რომ იცოდე, რა ძნელია ამ გვარი გათახსირება, რა მტანჯ-ველია და რა ცეცხლია ეს დამცირება, მაგრამ რას ვიზამ, მე საბრალო, გონჯი და უშნო? რა დამრჩენია იმის მეტი, რომ გავეცალო, შორს, შორს წავიდე და გადვიკარგო მაგ უგუ-ლოს ჯირის სანაცვლოდ... მშვიდობით, ჩემო ჰატარა ქეთო, მშვიდობით უღმერთო, კერპო და ცელქო! — დაათავა ტიკინმა, შემდეგ მწუხარებით უკანასკნელად იქაურობას კიდევ შეხედა, ჰაწია წინსაფარით გახუნებული თვალები მოიწმინდა და დაღ-ლილის ნაბიჯით მატარებლისკენ გასწია. ქეთოს ვითომც ეს ამბავი არც კი ესმოდა. ის თავის ახალ მვირფასს საჩუქარს აღტაცებით უალერსებდა და ჰირ-მოდიმარს წითელ ტუჩებში მეტის სინაზით ეკონებოდა.

— რა მშვენიერი, რა კოხტა ხარ, შენ გენაცვალე, რა ლამაზი კაბაც გაცვია! ბევრი მეოლია შენისთანები, მაგრამ შენ სულ სხვა ხარ, სხვა ნაირი ლამაზი და სუფთა — შესტიკ-ტიკებდა გახარებული და კულულებში ჩახლართულ ლენტებს მეტის სიფრთხილით უსწორებდა, ხან ფირუზის ფერ კაბას უწევდა, ეურადღებით ეველაფერს უთვალიერებდა; ხან სარკის ნატეხს, როგორც ცხადლივ, წინ მიუდგამდა და ალერსიანად ეხვეწებოდა:

— აბა, დახედე, რა ლამაზი ხარ, რა მშვენიერი წამწმე-ბი გაქვს, რა მორთული ხარ! — ტიკინი კი თითქოს ეურს არც კი უგდებდა, სარკის მაგივრად შორს, სადღაც ისე იც-ქირებოდა, გეგონებოდათ, მეტად მორცხვი, ჰირ-მოცინარი სარკეს განგებ თავს არიდებსო, სადაც იმ დროს შიგ ჩაშტე-რებული მზე თითქოს თავის თავს დასჩერებოდა და იქიდან ისედაც ლამაზ ტიკინს, ათას ფერ სხივით უფრო ამკობდა.

— ოღონდ შენ ეგრეთი ლამაზი იყავ და თავის ტრფობა არ დაგივიწყებ, ხელიდგან არას დროს არ მოგიშორებ—წარმოსთქვა კიდევ ქეთომ, მაგრამ იმ დროს მატარებელზედ დაცინვით ვიღაცამ ჩაიფრუტუნა და იმ სიცილზედ ქეთოს ტიკინიც მძინარესავით გაბოარკვიბ:

— ქეთო, უუურე, აიქ უუურ—გაოცებით კუნჭულისკენ მიუთითა და თვითონაც თვალების ხამხამით იმ ადგილას მიაჩერდა.

— ქეთო გესმის, შენ დაგცინიან, შენ გიჩივიან უსამართლობას... აგერ ახლა მეც მეძახიან... დახე, დახე, საცოდავები რაღასა ჭვანან! ეური უგდე რას ამბობენ: „მოგიმულებს და ჩვენსავით დამახინჯებულს შორს მოგტეორცნისო“.

— „ჩვენთან, ლამაზო, ჩვენთან გერჩივნოს, ასე მოგივლით როგორც მზის სხივს და ნეტარებას“—მოისმოდა ამ დროს მატარებლიდან და თან ეველა აღელვებულნი ჟრიამულით ხელს უქნევდა. ამხედრებული მაიმუნი იმ დროს საეკირს ზედ წვერზედ მოჭქცეოდა და ქეთოს ტიკინს უკანასკნელად ამ სიტყვებით ეველრებოდა:

— ჩვენთან ლამაზო, თავს ნუ იღუპავ, ჩვენთან წამოდი სანუგეშებლად და ეს მახინჯნი, როგორც მეფეს, ისე მოგივლით!—შეშინებულმა ტიკინმა თითქის სიმწარით ჯერ შუბლზედ ხელი გადისვა, შემდეგ ქეთოს ხელიდან ნელა გაუსხლტა—მშვიდობით ქეთო, იმათთან წავალ, არ დავდგებიო—ამით მიმართა, თან მეტად კოხტად თავი დაუკრა და მახინჯებთან ჩქარის ნაბიჯით ისარივით გამოსრიალდა. როგორც ლაშქარი,—სათამაშოები მატარებლიდან უცებ ისევ წამოიშალნენ და აღტაცებით ლამაზ ტიკინს წინ მიეგებნენ. მატარებელზედ, როგორც მეფეს, ფარჩის ხალიჩა გაუშალეს და ეკავილებით მოქარგულს გარს შემოეხვივნენ, მატარებელმა ერთხელ კიდევ შეიქშიტინა, უკანასკნელად თითქოს შვებით ამოიოხრა და ნელა დაიძრა. ეველამ ქუდები იშვლიპეს:—მშვიდობით, ქეთო, ეს ლამაზი ჩვენ, გონჯებს უფრო გვეჭირვებაო,—შესძახეს კიდევ და იმავ წამში შორს საითკენღაც გაისრიალეს.

— ვაიმე, მიდიან, მშორდებიანო— ერთი-კი შეჰვევრა ქეთომ, თან ისე ძალზედ შეინძრა, თითქოს უნდა დასდევნებოდა, მაგრამ თავის ეკირილზედ თვალები უმალ გააჭეიტა, გიჟივით მაინც ზეზედ წამოვარდა, უნდოდა კიდეც კარებისკენ გავარდნილიეო, მაგრამ გვერდზედ მიწოლილ ტიკინს რომ თვალი მოჰკრა—შუა ღამისას ახლა ხმა მაღლა სიცილი მორთო. ტიკინს-კი წინანდებურად ისეთი მომხიბლავი ღიმი უკრთოდა ბაწია, ლამაზ ტუჩებზედ, ისეთი გაკვირვება იხატებოდა იმის ლურჯ შუშის თვალებში, რომ ხელებ გაშლილს ქეთოს ეკირილი თითქოს კიდეც უკვირდა და კიდეც აცინებდა. ქეთომ ტიკინი გულს მიიხუტა—მადლობა ღმერთს, სიზმარი იყოვო—ჩაიბუტბუტა და თან ცალის თვალით იმ კუნჭულისკენ გაიხედა, სადაც მართლა დიდი ცოდვა და ვაი-ვაგლახი სუფევდა. ფეხ-მოგლეჯილი ვირი, ოდესმე საეკარელი და ძვირფასი, უეურადღებოდ მიტოვებული გვერდზედ უშნოდ წაქცეულიეო და მართლაც გადაგდებას-ღა ელოდა. მის შორი ახლო, ის მაიმუნი, რომელმაც სიზმარში დიდი ამბავი დაახწია, დამტვრეულ ტიკინს ქვეშ ისე ამოედო, გეგონებოდათ სასტიკ ბრძოლაში ერთმანეთს შეჰხოცვიანო, მასხარა-კი კარებს ისე მოჰყოლოდა, თითქოს შიშით გულ გახეთქილი კარებს უკან ვისმეს დამალვიაო. ერთის სიტყვით, გასაცოდავებული სათამაშოები ბაწია ლამპის შუქზედ ბნელ კუნჭულიდან უფრო საწყლად იცქირებოდნენ.

— აი, თქვე სამაგლებო, ხვალვე თავიდან მოგიშორებთ, რომ ძილში აღარ მომელანდოთ— წაიბურტყუნა კიდევ ქეთომ, ბირი ისევ ტიკინისკენ იბრუნა და სრულიად დაშშვიდებულმა ისევ ფშვინვა ამოუშვა.

ცქვიტი



სათაგვეთის ზიმზილობა

(საშობაოდ)

ერი დავბერდი, ცალი ფეხი სამარეში მიდგას და ამგვარ დროს არ მოვსწრებივარ,—ჩიოდა მთელს სათაგვეთში ჭკუაგონებით განთქმული თაგვი დინჯა.

— მართალი ხარ, დინჯავ, მართალი, ძალიან დიდი შიმშილობა ჩამოვარდა, რომ მეტი არ შეიძლება,—დასტური დასცა ხირსლამ.

— სწორედ შიმშილით სიკვდილი მოგველის, თუ თავს არ უშველეთ; დიდი გამოცნობა სჭირია, თუ ღმერთი ესე რით გავარისხეთ. ძლიერ უსავატო მასხინძელი გამოგვადგა. გაგონილა, რომ ჰურის ნამცეცის გემო არ ვიცი, ეს ორი დღეა?! ჩემმა მზემ, ისე მშიან, რომ მკვდარს კატას არ დავერიდები, არამც თუ ცოცხალს; დეე შემჭამოს ამოსავარდნელ ჯიშისამ, მაინც ხომ შიმშილით ვკვდები და!—წუწუნებდა წრუწუნაული.

მართლაც მთელს სათაგვეთს დარდისა და წუხილისგან მთლად თავპირი ჩამოსტიროდა. დიდს ფიქრსა და განსჯას მისცემოდნენ სათაგველნი. ღრმად ჩაფიქრებულიყვნენ დინჯა და წრუწუნაული, ეძებდნენ წამალს, რომ კუჭის ტკივილი დაეამებინათ.

მართალი იყო წრუწუნაული: მასხინძელი ბლეხი იაკობი, უცოლშვილო და უკიანპო კაცი, ნახევრად შინ არ იყო და, თუ მოვიდოდა, ისიც დასამინებლად, და საკვირველიც არ იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სავატობა არ ჰქონდა თაგვთა გამოკვებისა. მაგრამ-კი ეს იყო, რომ თავის ქოხის კუთხეები ზამთრის მოახლოვებაზედ გულ-მოდგინედ ამოლესა და ჩვენს ცნობილს თაგვებს კარი კირითა და ქვიშით დაუხშო.

საზამთროდ მოგროვილი საგძალი ამ დღეებში გამოელიათ და ჰირში ნერწყვ-გამოლეულნი ერთმანეთს გავას ულოკავდნენ.

— დინჯავ! — კრძალვით და რიდით დაიწყო ჰატარა წრუწუნამ, — მე ერთს ვიტყვი, იქნება ჭკუაში დაგიჯდეთ ეს ჩემი რჩევა.

— სთქვი, მიხო, სთქვი, იქნებ შენი ნაფიქრი მოხუცისასა სჯობდეს. — დაუვავებით გაეხმაურა დინჯა.

— იაკობს, როგორც მოგეხსენებათ, კატა არა ჰყავს, მაშასადამე, მისი შიშიც უსაფუძვლოა. წუხელის, ანაზდეულად იაკობის ბურდღუნს ეური მოვკარი, რომ ხვალზევით, შობა დღეს, ისეთი მწვადები დავაშხიპშხიპო, რომ ჩვენებიანთ თევდორე ჯავრზე გასკდესო. კაი შემთხვევაა ვაქკაცობის გამოჩენისა. მთელს თაგვეთში ლაშქარი მოვკრიბოთ, დინჯა წინ გაგვიძღვეს, როგორმე ამოქოლილი კარი გავანგრიოთ და ბიძია იაკობს შობა მიულოცოთ. — დაათავა წრუწუნამ თავის მოხსენება და გამარჯვებულმა აქეთ-იქით დაიწყო მედიდურად ეურება.

— ძალიან კარგი აზრია! — ერთხმად შეჰყვირეს თაგვეთელებმა და, ქების ნიშნად, ჩვენს წრუწუნას მხრებზე ხელსა სცემდნენ.

— მაშ, თუ ესეა, თაგვეთელებო, დროს ნუღარ ვკარგავ და ამაღამვე ხმა მივაგდ-მოვაგდოთ ლაშქრის შეურის შესახებ. — მჭერმეტყველობდა წრუწუნა.

— გაუმარჯოს! — გაისმა თაგვთა ეიქინ-ღრიანცელი და წრუწუნას ხელი-ხელს ატარებდნენ.

II

დიდი განგაშია სათაგვეთში ზედ შობა დილით. მოხუცი დინჯა ეავარჯენს დაჭბჯენია და, თავჩაქინდრული, ლაშქრობის აწონ-დაწონვაშია. წრუწუნაულიც გულ-ჩათხრობილა. ეს არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორს ვაქვაცს შვილს ასე ამხნევებდა, თუმცა გამხნევებ[illegible] თვე სჭირია:

— ეოჩალად მოიქეცით, დედა გენაცვალოთ! ვინძლო, მა-მითქვენის სახელს ჩირქი არ მოსცხოთ. ანდაზად გაგონილი გექნებათ, „მამულისათვის ისა სჯობს, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“. განსვენებული მამათქვენი, აგრეთვე ნათელი დაადგება იმ ქვეყნად, ხშირად მეტყოდა:—ვინძლო, წრეუწუნაულო, თუ წეულ კატის კლანჭებში დავლიო სული, ჩემს ბიჭებს უჩემობა არ დაატეო და სხვებს არ ჩამორჩნენ გმირობაშიო.—აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, როგორც გაახარებთ მამითქვენის სულსა.

ჰატარა მიხო ხომ ერთავად ცმუკავს, დაუბზეკია ულვაშები და მთელს სათაგვეთში რაშივით დაჭრის.

შობა დილით, ჯერ კიდევ ბინდ-ბუნდი იეო, ქათმები ის იეო გადმოფრენას ეპირებოდნენ, როდესაც დინჯამ ბრძანება გასცა გალაშქრებისა.

შეკრებილი ლაშქარი დინჯამ შემდეგის სიტყვებით გაამ-ხნევა:

— ეველა თქვენგანი, ვისაც-კი ბედმა ამ ლაშქარში მონა-წილეობის მიღება არგუნა, ოღონდაც ბედნიერია. შიმშილისა-გან ღონე-მიხდილი თაგვეთელები ლაშქრად მიდიან. ქვეყანას უმტკიცებენ, რომ არ მომკვდარან. იქ იპოვით ან ჰურისა და ხორცის გემრიელ ნამცეცებს და ან კიდევ გმირულს სიკვდილს კატის კლანჭებში. და ამგვარი სიკვდილი, გჯერდეთ თაგვე-თელებო, მამა-ჰაპათ საფლავში გაახარებს“-ო.

დაათავა თუ არა დინჯამ, ისეთი ღრიანცელი ასტედა, რომ ეურთ:-სმენა აღარ იეო. დარახტული ლაშქარი დაიძრა. კუთხეები დიდის ხალისით იეო ამოლესილი, ასე რომ გასა-ვალი აღარსად აღმოჩნდა. ხან-ძოკლე თათბირს შემდეგ, გადა-სწვეტეს ერთის კუთხის განგრევა. თაგვეთელებს დიდი ფაცა-ფუცი შეუდგათ. ნაცნობი ხირხლა დიდის დაკვირვებით ათვა-

ლიერებდა გასანგრევ ადგილს. ეცნენ თაგვეთელები, ბოლოს დინჯას წინამძღოლობით, და მალე სინათლე გამოჩნდა. თქმა არ უნდა, რომ ყველას სიხარულს ბოლო არ უჩანდა. დიდი მეცადინეობა არ დასჭირებიათ, რომ თაგვეთელებს აღთქმის კარი გახსნოდათ. პირველად, ჩვეულებისამერ, მიხო შევარდა იაკობის ქოხში და კერასთან მდგარ ქვაბს ეცა. რაღაც საუბედურად, ქვაბში წყალი მდგარიყო და მოუფიქრებელი მიხო, რომელსაც მკერდს ქვეშ ფოლადივით გული უცემდა, შიგ დაიღრჩო. შეპირებული მწვადები არსად აღმოჩნდა. ასე გაშინჯეთ, პურის ნამცეცების შოვნაც გაჭირდა. თაგვეთელების ფხაკუნზე ბიძია იაკობს გამოეღვიძა.

— ვერ უყურებთ ამ საკატეებს? ციცო, ციცო, დაჭამე ეს ვერნები!—ეკვიროდა ნამძინარევი იაკობი.

თაგვეთელები შეკრთნენ, მით უმეტეს, რომ ჯერ ერთი გამბედავი მიხო აღარა ჰყვანდათ და მეორე,—არ მოელოდნენ იაკობის უბარაქობას, შობა დღეს მაინც.

უკან დაიხია მათმა ლაშქარმა და გახსნილი კარი მალე მონახა. მაგრამ ვაი ამ მონახვას: მიხო დაღრჩოთ, დინჯა ჩვენებიანთ ციცას კლანჭებში იღვლფება, ხირხლა-კი მოძმეებისგან გადმოგორებულ ქვის ქვეშ მოჰყვა და ამოუკვნესებლივ განუტევა გმირული სული.

სათაგვეთი მაინც დამშეულია. მის მებრძოლ მცხოვრებთ პურის ნამცეცი ისევ ენატრებათ.

ვ. თამროშვილი



ბებერი ნაძვი

(თარგმანი)

ერთს მაღალ მთის წვეროზე იდგა ბებერი ნაძვის ხე. ისე იყო მოხუცებული, რომ თავისი წლოვანობაც-კი აღარ ახსოვდა. მართალია, დაბერდა, მაგრამ მაინც წელში მოხრილი არ იყო და თავისი ჰატარა მწვანე ნევსის მზგავსი ეკლები მთელის წლის განმავლობაში ზედ ესხა, როგორც ეველა ნაძვის ხეს სჩვევია.

როდესაც მზნე მოხუჯი ზამთრობით მთის ქვემოდ სრულებით უფოთლო მუხის ტეეს დასცქეროდა, გულში ფიქრობდა, ნაძვები ბევრად სჯობიან მუხებსაო.

სხვა მისი ტოლი ნაძვები დიდი ხანია დაიხოცნენ; მხოლოდ ის-ღა გადარჩა ცოცხალი, გარშემოხვეული რიცხვმრავალის ოჯახითა, რაც იმ მთაზე ნაძვები იდგა, ხომ სულ იმისი შვილები იყვნენ! იმდენს ხანს სცხოვრობდა და ეოველ წელს აუარებელ ხორკლიან გუნდას ისხავდა. ეს გუნდები აკვანია, რომელშიაც ნაძვები აწვენენ თავის ბავშვებს; თითოეულ გუნდის კან ქვეშ თითო ჰატარა ბავშვია მოთავსებული ნაძვისა. ეოველი ბავშვი იბადება ერთის ფრთით და, როგორც კი მოღონიერდება და შეიძლებს თავის აკვნიდან ამოსვლას, გამოეთხოვება თავის დედას და გაფრინდება; ქარი შორს მია-

ქანებს და ბოლოს პატარა თესლი მიწაზე ეცემა, [illegible] ბა და იზრდება ნაძვი, ასე გაჩნდა მთაზე ეგელა ნაძვი.

მოხუცს ნაძვს ძალიან სასიამოვნო ცხოვრება ჰქონდა თავის მწვანე ოჯახობაში; უეკარდა განსაკუთრებით თავისი ერთი შვილთაგანი-ნაძვი ადლ-ნახევრის სიმაღლისა, რომელიც სწორედ მის გვერდით იზრდებოდა. რა სიამოვნებით შესცქეროდა მოხუცი ნაძვი თავის საყვარელ შვილის ზრდას და მის ახალ ტოტების გამოღებას! ზაფხულობით მზის მწვა-

ვე სხივებისაგან იცავდა შვილს, ზამთრობით-კი ცდილობდა თავის გრძელის ხელებით დიდხანს შეერჩინა თოვლი თავის ტოტებზედ, რადგან მომეტებული თოვლი მძიმე ტვირთად დააწვებოდა პატარა ნაძვს. მოხუცი ნაძვი უამბობდა თავის საყვარელს ბაწაწკინას იმ ყვავებისა და ყორნების თავგადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკალს, რომელნიც სხდებოდნენ ნაძვის წვეროებზე და ხმა-
მაღლა ჩხაოდნენ იმას, რაც საგულისხმიერო რამ მოძღვარი-
ეო იმათ ოჯახში; უამბობდა აგრეთვე მგლის ლეკვის ამბავს,
დედას რომ არ გაუგონა და ტყეში გზა დაეკარგა, მოხუც და-
თვისას, ხრამში რომ გადიჩეხა და ფეხი მოიტეხა.

პატარა ნაძვი ცნობის მოყვარე იყო, როგორც ყველა იმი-
სი ხნის ბავშვები და ხან რას ეკითხებოდა მოხუცებულს და
ხან რასა.

— დედა,—ჰკითხა ერთხელ,—ნეტავ სად არის და ან რა
მოუვიდა ჩემ უფროს დას—შარშან ზამთარში ტეის მჭრელე-
ბმა რომ მოსჭრეს?

— არ ვიცი,—უპასუხა დედამ. მერე რა ლამაზი და რა
ტანადი იყო! მგონია ანმად მოიხმარებდნენ გემისათვის.

— ტოტებს რაღას უზამდნენ?—ჰკითხა შვილმა.

— ცოცხებად დააკეთებდნენ.

— მაშ, რაკი აგრეა,—სთქვა ნაძვმა,—მეც ანმად გამაკე-
თებენ გემისათვის, ჩემს ტოტებს კიდევ—ცოცხებად.

— თუ გამოდგები, რასაკვირველია, გააკეთებენ,—უპასუ-
ხა მოხუცმა ნაძვმა—და თუ ემაწვილი მოკვდები, შეიძლება
ლობიოს სარად გაქციონ, ან ჭიგოთ შეგიდგან ვაზსა.

პატარა ნაძვი ძალიან ჩააფიქრა დედის ნათქვამმა; ძრიელ
უნდოდა დიდი გაზრდილიყო, სასიკვდილოდ თავი არ ემეტე-
ბოდა და ჭიგოთ გადაქცევა არ მოსწონდა.

ერთს მშვენიერ ქრისტეშობის დღეს დიდ ნაძვის ახლო
ერთმა შეშის მჭრელმა გამოიარა და მის წინ გაჩერდა.

— რა მშვენიერი ხეა!—სთქვა შეშის მჭრელმა,—ეს პაწა-
წა ნაძვიკი სწორედ საჩემოა. ბატონმა ჰერბერმა მთხოვა, სა-
შობაოდ ნაძვის ხე მომიტანეო; ამაზედ ულამაზესი ნაძვი არ-
სად არის ახლო-მახლო; მოჭრა კი ცოდვაა, სჯობს მოვთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარო, ბატონ ჭერბერს შეუძლიან შემდეგ ისევ ჩაგვიყვანოს ვის მამულში. შეშის მჭრელმა ბარით გარშემო მიწა შეჭოუთ-ხარა, უცაბედათ რამდენიმე ფესვი მოაჭრა. შემდეგ მხარზედ მოიკიდა და მთიდან დაეშვა. ისე სასწრაფოდ მოხდა ეოველი-ვე ეს, რომ ჰატარამ დედასთან გამოთხოვებაც-კი ვერ მოასწრო; ნაძვმა ფესვებში ისეთი საშინელი ტკივილები იგრძნო, რომ სრულებით გრძნობა დაჰკარგა. როდესაც გონს მოვიდა, ჭხედავს მიწით სავსე ეუთში ზის, ეუთი დიდ დარბაზის შუა გულს იდგა და ვიღაც კაცი რწეავდა; მორწევა ისე იამა, რომ სრულებით გამოცოცხლდა.

რამდენიმე ქალი შემოვიდა დარბაზში და ეოველ ტოტ-ზედ სანთლები მიაკრეს.

„სწორედ საკვირველია! —ფიქრობდა ნაძვის ხე—დედა მე-უბნებოდა, როცა დიდი გაიზრდები, ხორხლიან გუნდას დაის-ხამო, სანთლებისა კი არა უთქვამს-რა.“ ნაძვის ხეს ისიც აკვირ-ვებდა, რომ ჩამოჭკიდეს: ვაშლები, ოქროს კაკლები, ეოველ ნაირი კანფეტი და ერთი სათამაშო მასხარაც მიაკრეს, რო-მელიც ისე უსიამოვნოდ იგრიხებოდა, რომ ნაძვს თავისი მწვანე ეკლები სულ უთრთოდა. საღამოთი გაანათეს ნაძვის ხე და ბავშვების გუნდი მოგროვდა გარშემო სათამაშოდ. ჰატარა ნა-ძვი კი ფიქრობდა, ახლა მართლა ლამაზი ვარო; ძალიან უნდოდა ესე მორთული სჩვენებოდა თავის უფროს დებს ტეეში.

„სრული ბედნიერი ვიქნებოდი, დედა ჩემი რომ აქ იეოს, და ესე ძალიან არა მტკიოდეს წვერი ჩემის დიდი ფესვისა. რასა ვხედავ? სანთლები თანდათან ჰატარავდება, აი, ერთი სა-ცაა გაქრება; ვაშლსა მსხნიან! ახლა კაკალსა! რა უბედურო-ბაა! ბავშვები მაგლეჯენ, რაც სამკაული მქონდა ზედ; ვბნელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები და ეველანი მიდიან. რა მოწყენილი ვარ! ისევ ისეთი ... ძვათ გადვიქეცი, როგორიც ვიყავი მთაზედ, მარტო მთვარე-ღა მაშუქებს.“

— მშვენიერო მთვარე! მითხარი, ხვალაც ისეთი ლამაზი და გაბრწყინვებული ვიქნები, როგორც დღეს ვიყავ? მთვარე არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ მეორე დღესაც ბევრ ხანს უშუქებდა ნაძვის ხეს; ნაძვი ეუთით ბაღის კარებთან დადგეს.

აქ რამდენსამე წელს ბედნიერად სცხოვრობდა ნაძვი. შობა ღამე ეოველთვის ახარებდა, რაკი დარბაზში შეჰქონდათ და მოჰკაზმავდნენ ხოლმე.

წლითი-წლობით ტანს იერიდა და სრულდებოდა, ფესვები ეუთში ვეღარ ;ტეოდა; ამის გამო სისუსტეს ჰგრძნობდა და ავადმეოფობაც დაიწეო.— ბატრონი მიხვდა მიზეზსა და მაშინვე შუაგულ ბაღში ჩარგო.

იქ საგანგებოდ გამოკეთდა, ეოველ დღე ახალ-ახალ ტოტებით იმოსებოდა და თანდათან დედას ემზგავსებოდა.

ვინ იცის, ჩემი მოხუცი დედა როგორღა სცხოვრობს მთის წვერზედაო. დედა მეტად ნაღვლობდა, რომ საეეარელი შვილი გვერდზედ აღარა ჰყავდა; სიმწარით ავად გახდა; ეკლები გაუეფლდა და ძირს ჩამოცვივდა, ღონე სრულებით გამოელია, დასუსტდა. ერთს ღამეს მეხმა ძირიან ფესვიანად ამოჰგლიჯა და ძირს დასცა. შეშის მჭრელებმა მოსჭრეს ტოტები და ის მშვენიერი ხე ქვეით ჩაათრიეს.

რაც კი ტეეში ნაძვები იეო, ეველანი სტიროდნენ მოხუცის სიკვდილს; დიდხანს ემჩნეოდათ ნაძვებს ტოტებსა და ფესვებზედ ფისის ცრემლები!

მოხუცი ნაძვი მიიტანეს ერთს სახერხ ქარხანაში; დახერხეს და ბევრი კარგი ფიცარი გამოვიდა. ფიცრები ერთმა დურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალმა იყიდა. მთელ დღეს მუყაითად მუშაობდა; აშალა ბალიანი ეს და, ხერხავდა, ჩაქუჩს უკაკუნებდა; ბოლოს დურგლის მარჯვენამ და ოსტატობამ ამ ფიცრებიდან შეჰქმნა: შკაფები, მაგიდები, სკამები, ეუთები, ტახტები, კარები და ბევრი სხვა რამ. ასე გადასხვაფერდა ჩვენი მოხუცი მთის ნაძვი.

მარიამ დემურიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელია და მეწისქვილე

ნაწილი მეოთხე

I

ავიდა მელა მეწისქვილესთან,
უთხრა: გამოძეე მეფესთანაო;
კაცმა თუ საქმე რამ მოაგვაროს,
მოხერხებულად ჩემისთანაო.
მეფე ქალს გაძლევს, უნდა შეირთო,
ჭერსა ქუდი ვკრათ, ვიმხიარულოთ;
შენ დაგილოცავს, ტახტს შენ დაგითბობს
დავუვეთ მის ნებას, ჩვენც მას უსმინოთ.

მე მოვახერხე
აწ საქმე კარგი,
ორივესათვის
დიდია მარგი.
აბა, წამოძეე,
ნუ აგვიანებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ბევრსა გულით
ისიამოვნებ!

II

მეუსვენებლივ
ბევრი იარეს;
გზაზედ მიადგნენ
ერთს დიდს მდინარეს.
მელიამ უთხრა
მეწისქვილესა:
შენ აქ მოიცა,
ვნახავ მეფესა
და ისევ მალე
დავბრუნდებიო;
ტანისამოსსა
გიშოვნი მვირფასს,
შენ აქ იბანე,
დამშვენდებიო!

III

წავიდა მელა და უთხრა მეფეს:
ხიდი ჩაგვიტეხა,
წყალში ჩავცვივდით,
ცოტას გადარჩა,
რომ არ გავცვივდით
და თქვენსა სიძეს,
ვაჟკაცს მშვენიერს,
ტანისამოსი ამოესვარა;
აწ გამომგზავნა ამბის მთხრობელად,
თან ტანსაცმელი მე დამაბარა.
მეფემ უბრძანა ნაზირ-ვეზირებს:
მიეცით ჩქარა ტანთსაცმელები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უბრალო, ოქროთ ნაკერი,
სამეფო კაცთა დამამშვენები.
ფიცხლავ მოუსვა
მელამ ტანთსაცმელს,
გაურბენინა
მსწრაფლ მეწისქვილეს.
მორთო, მოკაზმა,
ერთად გასწიეს.
გზაზედ აძლევდა
დარიგებასა:
იუავ დინჯადა,
დარბაისლადა,
და ნუ დაუწყებ
კედლებს ხამივით
შენ ეურებასა!
ნუ გაიკვირვებ,
როდესაც ჭნახო
თვალ-მარგალიტი
შენ იქ მრავალი.
ისე გეჯიროს
ამაუად თავი,
თითქოს არ გეავდეს
არც ერთი ცალი.

ნაწილი მესამე

I

აჭა, მივიდნენ უკვე მეფისას,
სალამი მისცეს და მოიკითხეს;
ქალს მოეწონა საქრმო თავისი...
ბოლოს ქორწილიც გარდაიხადეს.
მხოლოდ მელია დიდს დარდში იყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ჰატარძალი სად წაეყვანათ?
სახლი არ ჰქონდა მეწისქვილესა,
წისქვილში როგორ დაებინავათ?
ბოლოს-კი ისევ თვით მოიგონა:
გავიდა მინდვრად, იწყო კივილი.
შეჰხვდნენ დევები, ჰკითხეს: რად ჰკივი?
მელიამ იწყო მწარედ ჩივილი:
რა გეშველებათ, თქვე საცოდავნო,
მეფენი სიკვდილს გემუქრებიან;
ჯარი შეჰკრიბეს, გამოილაშქრეს,
არ დაგინდობენ, თქვენ ერთს გდევნიან.
უშველეთ თავსა, დაიმალენით,
შეძვერით ჩქარა ამ სათივეში;
რაც უნდ გეძებონ, კბილიც ილესონ,
ვერ მოგაგნებენ თქვენ თავის დღეში.

II

მართლა თივის ქვეშ შეძვრნენ დევები,
მელამ სათივე აავრიალა;
დასწვა დევები, ფერფლად აქცია,
უბედურება დაატრიალა:
მათი სასასლე, დიდი სიმდიდრე
მისცა მეგობარს მეწისქვილესა;
იქა სცხოვრობდნენ,
ლხინს ემლეოდნენ
ტოლ-მეგობართან ბედნიერ დღესა!

ა. შანშიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილისაგან)

თქვენი საედრის დღესასწაულს,
რომ მიუსვათ თავში „შ“ ანი,
დღეს მიიღებთ შესანიშნავს
უქმობს ყველა ქრისტიანი.

—

მოდის ყველა წლის ბოლოში,
თან სდევს თოვლი, ყინვა, ქარი;
ვინც რომ ჩქარა გამოიცნობს,
დაემზადოს საჩუქარი.

გ ა მ ო ც ა ნ ა

ჰირიდან ცეცხლი გამოვა,
გარეთ ცივია ბუნებით,
ხმა კი აქვს და სიტყვა არა
დიდათ ცუდია ბუნებით.
ექმს, თუ არა იქმს სახელსა,
თვითონ არ ესმის სრულებით.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

***

რ ე ბ უ ს ი

შ (ზაფხულში პურს) (რა ეკიდება?), ა 20, (კავშირი) 5, ს

(წელიწადის მეთორმეტე თვე.), ს, , ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-23 №-ში მოთავსებულ რებუსის ალნა:

ვირს დიდი ეურები აქვს.

რედაქტორი მ. ი. დემურია გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ დღიური სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი

დროება

სურათებიანი დამატებით

ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 5 მ. 10 კ., ერთის თვით 1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

ხელის-მოწერა მიიღება „დროების“ რედაქციაში, (ვანქის დიდი ქუჩა № 12); წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუქაშვილთან (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნ. ქარვასლა).

ОТКРИТА ПОДПИСКА НА 1909-Й ГОДЪ

на газету

Закавказье

(годъ второй)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ Тифлиссѣ:		Съ пересылкой въ другіе гордоа:	
за годъ.. . .	6 руб.—к.	за годъ. . . .	8 руб. — к.
за полгода . .	3 руб 50 к.	за полгода . .	4 руб. 50 к.

Помѣсячно повсуду. 75 коп. Отдѣлный №—5 коп. За границу вдвое.

За перемѣну адреса городскаго на иногородній—1 р., съ иногороднаго на иногородній—50 коп.

Адресъ редакцій: Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. РЕДАКЦІЯ ОТКРЫТА отъ 9-ти час. до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня. Редактор-Издатель **Г. І. Амираджиби.**

ОТКРИТА ПОДПИСКА НА 1909-Й ГОДЪ

на газету

НОВОСТИ ЗАКАВКАЗЬЯ

ПОДПИСНАЯ ПЛАТА: { въ Тиф. за г.—6 р., „ 1 года 4 руб.)
въ провинціи „ 8 „ „ „ „ 5 руб.)

Помѣсячно—75 коп.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: за мѣсто занимаемое строкой петита передъ текстомъ— 10 коп. и послѣ текста—5 коп. Извѣщенія о зрѣлишахъ печатаются на первой страницѣ по 20 к. за строку и по 10 коп.—на 4-й страницѣ. За объявленія въ справочномъ отдѣлѣ—8 к. строка, въ отдѣлѣ "Сторонноее сообщеніе"—10 коп. строка.

Адресъ конторы и редакціи: Эриванская площ., д. Кредитн. Общ. (общій подъѣздъ съ Торі. д. Нейшелеръ)

Контора открыта ежедневно отъ 9 ч. утра до 3 ч. дня и отъ 7 до 8 ч. веч.

Редакторъ принимаетъ ежедневно только отъ 2—3 ч. дня.

Редакторъ П. Готуа.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქტიო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

საზღვარ გარეთ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შეიძლება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**